



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

<b>მატჩი</b>	რუსთავის „რუსთავი“ - თბ „ივერიელი“		
<b>გუნდი</b>	თბ „ივერიელი“	<b>შეჯიბრი</b>	რეგიონული ლიგა
<b>მატჩის თარიღი</b>	10/10/2021	<b>მატჩის ადგილი</b>	რუსთავის სარაგბო ბაზა
<b>რეგულაცია</b>	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
<b>მოთამაშე/პიროვნება</b>	თბ „ივერიელი“-ს წარმომადგენელი	<b>დაზადების თარიღი</b>	
<b>სახელი, გვარი</b>	გიორგი აფრასიძე		
<b>მომჩივანი</b>	მატჩის მეთვალყურე ს.მაკასარაშვილი	<b>საჩივარი</b>	✓ მიღებულია უარყოფილია
<b>დარღვევა</b>	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია. დანართი # 2 ქცევის კოდექსი და არამართებული ქცევა. დანართი # 3 სანქციები ჩაშლილი/შეწყვეტილი მატჩის შემთხვევაში.	<b>წითელი ბარათი</b>	✓ <b>საითინგი სხვა</b>
		თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
<b>განხილვის თარიღი</b>	18/10/2021	<b>განხილვის ადგილი</b>	სრკ-ს ოფისი თბილისი, ჭ. ამირეჯიბის#6
<b>თავმჯდომარე</b>	მირიან თავზარაშვილი		
<b>სადისციპლინო კომისიის წევრები</b>	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე.		
<b>დამრღვევის დასწრება</b>	✓ კი არა	<b>სხვა დამსწრეები :</b> კი არა	
<b>დამრღვევის წარმომადგენელი</b>	თბ „ივერიელი“-ს წარმომადგენელი ვასილ სანაძე	<b>აღნიშნუთ ვინ</b>	
<b>განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები</b>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მატჩის მეთვალყურის ს.მაკასარაშვილის საითინგი.</li> <li>2. მატჩის კიდის მსაჯის ს. ლიპარტელიანის მოხსენებითი ბარათი</li> <li>3. მატჩის მთავარი მსაჯის ა. იაშაღაშვილის მოხსენებითი ბარათი</li> <li>4. მატჩის კიდის მსაჯის ს. სტეფნაძის მოხსენებითი ბარათი.</li> </ol>		



**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მეთვალყურის სალომე მაკასარაშვილის საითინგი
2. მატჩის კიდის მსაჯის საბა ლიპარტელიანის მოხენებითი ბარათი
3. მატჩის მთავარი მსაჯის არჩილ იაშაღაშვილის მოხენებითი ბარათი
4. მატჩის კიდის მსაჯის სერგი სტეფნაძის მოხენებითი ბარათი
5. რუსთავის „რუსთავი“-ს მოთამაშის (მოქმედი სრკ-ს მსაჯი) ბექა აქუზარდიას ზეპირი (სატელეფონო) განცხადება სხდომაზე, მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.
6. რუსთავის „რუსთავი“-ს მოთამაშის (მოქმედი სრკ-ს მსაჯი) თორნიკე ალაგვიძის ზეპირი (სატელეფონო) განცხადება სხდომაზე, მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.

**დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

1. ამა წლის 18 ოქტომბერს სრკ-ს სადისციპლინო კომისიის სხდომაზე კლუბ თბ „ივერიელი“-ს წარმომადგენელმა გიორგი აფრასიმემ განაცხადა : 10 ოქტომბერს გამართული მატჩის დროს, რუსთავის „რუსთავი“-სა და თბ „ივერიელი“-ს შორის, იმყოფებოდა სტადიონზე, სათამაშო მოედნისა და სათადარიგო მოთამაშეების გამყოფი ღობის გარეთ. მისი განცხადებით ის აპელირებდა მთავარი მსაჯის გადაწყვეტილებებზე თამაშის დროს, ხოლო მატჩის პირველი ნახევრის დაახლოებით 26-ე წუთზე, მოწინააღმდეგე გუნდის 22 მეტრიან ზონაში მოწყობილ დერეფანში ბურთის შემოგდების დროს უცენზურო სიტყვებით (დედის გინება) რომელიც არ იყო მიმართული მსაჯის მიმართ, გააპროტესტა მთავარი მსაჯის უმოქმედობა მისი აზრით თამაშის წესის დარღვევის გამო. გინება გაიგო იქვე მდგომმა მატჩის კიდის მსაჯმა საბა ლიპარტელიანმა, რომელიც გამოემართა მისკენ და აგრესიული ტონით მიმართა მას (რა თქვი ბიჭო ?!). კიდის მსაჯის ასეთმა საქციელმა ის გააღიზიანა და გამყოფ ღობეზე გადაწევით ხელი მიადო სახეზე, რაზეც კიდის მსაჯმა ხელის დარტყმით უპასუხა. გიორგი აფრასიმის განცხადებით კიდის მსაჯის საქციელით აღშფოთებული, ის გადავიდა გამყოფ ღობეზე, რა დროსაც კონფლიქტში გაშველების მიზნით, ჩაერთვნენ როგორც „ივერიელი“-ს ასევე „რუსთავი“-ს მოთამაშეები და არ მისცეს დაპირისპირებულებს ერთმანეთთან მიახლოების საშუალება. ინციდენტის დროს ადგილი ჰქონდა ურთიერთ შეურაცხმყოფელ (გინება) შემახილებს. მისი განცხადებით, მას მატჩის კიდის მსაჯისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია.



## ფაქტობრივი მოცემულობა

1. მატჩის მეთვალყურის ს. მაკასარაშვილის საითინგის მიხედვით - თამაშის პირველი ნახევრის მსვლელობისას მან შენიშნა გვერდით მდგარი პიროვნება (გიორგი აფრასიძე). გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა რომ, ის იყო დისკვალიფიცირებული და მოსთხოვა მას მოშორებოდა სათამაშო არეალს. შენიშვნის შემდეგ გიორგი აფრასიძე დაიდრა ტრიბუნებისკენ და მან განაგრძო თავისი საქმიანობა. რამოდენიმე წუთში მისი ყურადღება მიიპყრო კიდის მსაჯის საბა, ლიპარტელიანის და გიორგი აფრასიძის დაპირისპირებამ, რომელიც ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. დაპირისპირებულების გაშვების შემდეგ, მატჩის მსაჯები მივიდნენ მასთან ინციდენტის შესაფასებლად, რა დროსაც გიორგი აფრასიძის ხმამაღალმა გინებამ, კიდის მსაჯის ს. ლიპარტელიანის მიმართულებით კვლავ გამოიწვია ხელჩართული დაპირისპირება. არაკონტროლირებადი სიტუაციის გამო მან მსაჯებთან ერთად მიიღო მატჩის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

მატჩის მეთვალყურის ს. მაკასარაშვილის საითინგის მიხედვით მატჩის შეწყვეტის შემდგომ, გასახდელში ყოფნისას მსაჯებს „შემოუვარდა“ უცხო პიროვნება, რომელიც კიდის მსაჯ ს. ლიპარტელიანთან ცდილობდა „საქმის გარჩევას“, რის გამოც მან აღნიშნული პიროვნების გასახდელიდან გაყვანის თხოვნით მიმართა სარაგბო ბაზის დაცვას.

2. მატჩის კიდის მსაჯის საბა ლიპარტელიანის მოხსენებითი ბარათის მიხედვით - თამაშის მსვლელობისას, რამოდენიმეჯერ ადგილი ჰქონდა მთავარი მსაჯის გადაწყვეტილებებზე თბ „ივერიელი“-ს წარმომადგენლის (გიორგი აფრასიძე) აპელირებას, ხოლო თამაშის პირველი ნახევრის მსვლელობისას მოწყობილ დერეფანში ბურთის შემოგდების შემდეგ, მან გაიგონა თბ „ივერიელი“-ს აღნიშნული წარმომადგენლის მხრიდან შემახილი - „ ბლოკი, ბლოკი ! შენი დედა ....(ხმამაღალი დედის გინება მთავარი მსაჯის მიმართ). ის მიუახლოვდა გამყოფ ლობესთან მდგომ შეუაცხყოფის ავტორს კითხვით - „რა თქვი ბიჭო ?!“. რა დროსაც, თბ „ივერიელი“-ს წარმომადგენელმა ხელი სახეზე დაადო, თიქოს დარტყმა სურდა და მან საპასუხოდ ხელი დაარტყა. დაპირისპირებაში ჩაერთვნენ თბ „ივერიელები“-ს მოთამაშეები (რომელთა იდენტიფიცირება ვერ მოახერხა), რომლებმაც ის წააქციეს. ამ დროს რუსთავის „რუსთავი“-ს მოთამაშეები დაეხმარნენ და გამოარიდეს კონფლიქტს. სიტუაციის შედარებით ჩაწყნარების შემდეგ, თბ „ივერიელი“-ს აღნიშნულმა წარმომადგენელმა კვლავ მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა, რამაც განაახლა მათ შორის დაპირისპირება.

საბა ლიპარტელიანის განცადებით კონფლიქტის შემდგომ, გასახდელში მოვიდნენ მისთვის უცნობი პიროვნებები და უთხრეს რომ, „გარეთ ელოდებოდნენ და დაუწყეს უხეში საუბარი“.

3. მატჩის მთავარი მსაჯის არჩილ იაშადაშვილის მოხსენებითი ბარათის მიხედვით - თამაშის პირველი ნახევრის მსვლელობისას მან შენიშნა, რომ კიდის მსაჯი (საბა ლიპარტელიანი) სიტყვიერ კონფლიქტში შევიდა თბ „ივერიელი“-ს წარმომადგენელთან და კონფლიქტი გადაიზარდა მათ შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში. კონფლიქტში აგრეთვე ჩაერთვნენ თბ „ივერიელი“-ს მოთამაშეები (რომელთა იდენტიფიცირება ვერ მოახერხა), რომლებიც იწვედნენ კიდის მსაჯისკენ, ისროდნენ ნივთებს და იგინებოდნენ. სიტუაცია განმუხტეს რუსთავის



„რუსთავი“-ს მოთამაშეებმა, რომლებიც დაეხმარნენ მათ(მსაჯებს) და მიაცილეს ისინი გასახდელამდე. ა. იაშაღაშვილის განცხადებით, თამაშის გაგრძელება შეუძლებელი იყო და მან მიიღო მატჩის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

4. მატჩის კიდის მსაჯის სერგი სტეფნაძის მოხენებითი ბარათის მიხედვით - თამაშის პირველი ნახევრის დაახლოებით 26-ე წუთზე, მან შენიშნა სათამაშო მოედნის მეორე ფრთაზე მყოფი კიდის მსაჯის (საბა ლიპარტელიანი) და თბ „ივერიელი“-ს წარმომადგენლის (გიორგი აფრასიძე) სიტყვიერი დაპირისპირება, რაც შემდგომ ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. კონფლიქტში სამწუხაროდ ჩაერთვნენ „ივერიელი“-ს მოთამაშეები (რომელთა იდენტიფიცირება ვერ მოახერხა), რომლებიც „იწევდნენ“ და საგნებს ისროდნენ კიდის მსაჯს საბა ლიპარტელიანის მიმართულებით. მისივე თქმით, რომ არა რუსთავის „რუსთავი“-ს მოთამაშეების მსაჯების მიმართ თანადგომა, შესაძლებელია ინციდენტი უფრო ცუდად დამთავრებულიყო მათთვის. ინციდენტის შემდეგ, მან მთავარ მსაჯთან და მატჩის მეთვალყურესთან ერთად მიიღო მატჩის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

5. სადისციპლინო კომისია ტელეფონით დაუკავშირდა თამაშში მონაწილე რუსთავის „რუსთავი“-ს მოთამაშეს ბექა აქუბარდიას, რომელიც ამავდროულად გახლავთ სრკ-ს მოქმედი მსაჯი და სთხოვა მას გაეზიარებინა მისი საკუთარი აზრი, თამაშის დროს მომხდარი ინციდენტის შესახებ. ბექა აქუბარდიამ სადისციპლინო კომისიას განუცხადა, რომ თამაშის პირველ ნახევარში ადგილი ჰქონდა კიდის მსაჯის(საბა ლიპარტელიანი) და თბ „ივერიელი“-ს წარმომადგენლის (გიორგი აფრასიძე) შორის ურთიერთ სიტყვიერ შეურაცხყოფას, რომელშიც ჩაერთვნენ თბ „ივერიელი“-ს მოთამაშეები და გულშემატკივრები. იყო ე.წ. „გაწევ - გამოწევა“ და გინება, როგორც თბ „ივერიელი“-ს მოთამაშეების, ასევე კიდის მსაჯის საბა ლიპარტელიანის მხრიდან. მისი განცხადებით, არანაირ ფიზიკურ შეურაცხყოფას კიდის მსაჯის მიმართ ადგილი არ ჰქონია.

6. სადისციპლინო კომისია ტელეფონით დაუკავშირდა თამაშში მონაწილე რუსთავის „რუსთავი“-ს მოთამაშეს თორნიკე ალავიძეს, რომელიც ამავდროულად გახლავთ სრკ-ს მოქმედი მსაჯი და რომელმაც ბექა აქუბარდიას მსაგავსად განაცხადა, რომ თამაშის დროს მომხდარი ინციდენტისას, მატჩის კიდის მსაჯის საბა ლიპარტელიანსა და თბ „ივერიელი“-ს წარმომადგენლის გიორგი აფრასიძის შორის მომხდარ ინციდენტში, რომელშიც ჩაერთვნენ თბ „ივერიელი“-ს მოთამაშეებიც, ადგილი ჰქონდა მხოლოდ ურთიერთ სიტყვიერ შეურაცხყოფას და ინციდენტი არ გადაზრდილა ფიზიკურ შეურაცხყოფაში.

7. სადისციპლინო კომისიის ხელთ არსებული მატჩის ოფიციალური პირების საითინგის, მოხსენებითი ბარათების და აღნიშნული ინციდენტის სხვა თვითმხილველების განცხადებების საფუძველზე არ დასტურდება მატჩის კიდის მსაჯის საბა ლიპარტელიანის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი.

8. კლუბ თბ „ივერიელმა“ ვერ უზრუნველყო მისი წარმომადგენლის, ქცევის კოდექსის მძიმე დარღვევის გამო დისკვალიფიცირებული გიორგი აფრასიძის განმეორებით ქცევის კოდექსის (მატჩის ოფიციალური პირის გადაწყვეტილებებზე აპელირება და მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა) დარღვევის აღკვეთა, რამაც გამოიწვია კონფლიქტი და



დაპირისპირება მატჩის კიდის მსაჯთან, რაც მატჩის ოფიციალური პირების მიერ, შექმნილი სიტუაციის სიმძიმიდან გამომდინარე, მატჩის შეწყვეტის მიზეზი გახდა.

9. სრკ-ს მსაჯმა საბა ლიპარტელიანმა უხეშად დაარღვია სრკ-ს მიერ დაკისრებული ვალდებულებები, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თბ „ივერიელი“-ს წარმომადგენელს გიორგი აფრასიძეს.

### გადაწყვეტილება

1. სადისციპლინო კომისიამ, ზემოაღნიშნული შემადგენლობით, იმსჯელა ამა წლის 10 ოქტომბერს გამართულ რეგიონული ლიგის მატჩზე, რუსთავის „რუსთავი“-სა და თბ „ივერიელი“-ს შორის, მომხდარი ინციდენტის შესახებ, რომლის გამოც მატჩის ოფიციალურმა პირებმა თამაშის პირველ ნახევარში შექმნილი დამაბული სიტუაციის გამო, მიიღეს მატჩის შეწყვეტის გადაწყვეტილება. იხელმძღვანელა:

ა) სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის მე-5 მუხლით „ქცევის კოდექსი და არამართებული ქცევა“;

ბ) სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 12.10 პუნქტით;

გ) სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 2-ით (სანქციები სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული ქცევის კოდექსის დარღვევისთვის და არამართებული ქცევისთვის. მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხოფა );

დ) დანართი # 3-ით (მუხლი 1. სანქციები ჩაშლილი/შეწყვეტილი მატჩის შემთხვევაში);

2. სადისციპლინო კომისიამ მხედველობაში მიიღო აღნიშნული თამაშის დროს მომხდარ ინციდენტში მონაწილე თბ „ივერიელი“-ს წარმომადგენლის გიორგი აფრასიძის სადისციპლინო ისტორია, კერძოდ :

ა) სრკ-ს სადისციპლინო კომისიის 2021 წლის 24 მარტის, ოქმი # 32, რომლის მიხედვით :

მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის, მოთამაშე გიორგი აფრასიძე დისკვალიფიცირებული იქნა 10(ათი) სათამაშო კვირით.

ბ) სრკ-ს სადისციპლინო კომისიის 2021 წლის 15 აპრილის, ოქმი # 39, რომლის მიხედვით:

დისკვალიფიკაციის პერიოდში მყოფი გიორგი აფრასიძე, მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისათვის დისკვალიფიცირებული იქნა 5 (ხუთი) წლით.

და მიიღო გადაწყვეტილება :



1. ამა წლის 10 ოქტომბერს, რეგიონული ლიგის მატჩის მსვლელობისას, რუსთავის „რუსთავი“-სა და თბ „ივერიელი“-ს შორის, მომხდარი ინციდენტის გამო, რამაც გამოიწვია მატჩის ოფიციალური პირების მიერ, თამაშის პირველ ნახევარში შეწყვეტა :

ა) თბ „ივერიელს“ ჩაეთვალოს წაგება და დააკლდეს 4(ოთხი) საცხრილო ქულა.

ბ) კლუბ თბ „ივერიელს“ მიეცეს გაფრთხილება იმის შესახებ, რომ მსაგავსი ინციდენტის განმეორების შემთხვევაში კლუბის მიმართ გამოყენებული იყნება უფრო მკაცრი დისციპლინარული სასჯელი.

გ) რუსთავის „რუსთავს“ ჩაეთვალოს მოგება და მიენიჭოს შეჯიბრებაში შესაძლო მოსაპოვებელი 5 (ხუთი) საცხრილო ქულა, ხოლო ანგარიში დაფიქსირდეს 30: 0.

2. თბ „ივერიელი“-ს წარმომადგენელს გიორგი აფრასიძეს 3(სამი) წლის ვადით (2024 წლის 18 ოქტომბრამდე), აეკრძალოს სრკ-ს ეგიდით გამართულ ნებისმიერ ღონისძიებებზე დასწრება, რაც გულისხმობს სრკ-ს ეგიდით თამაშების და/ან სხვა რაიმე აქტივობის გასამართ ტერიტორიაზე შესვლას.

3. სრკ-ს მსაჯს საბა ლიპარტელიანს, 2021-2022 წლის სეზონის დამთავრებამდე შეეზღუდოს მსაჯის და/ან მატჩის ოფიციალური პირის სტატუსი სრკ-ს მიერ ორგანიზებულ ყველა ღონის შეჯიბრებებში.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	18/10/2021
--------------------------	--	--------	------------